

## სტუდენტური ფორუმი

### ევროპული პარლამენტი

#### ანა ლორია\*

ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, ევროპული პარლამენტი წარმოადგენს „ევროპულ გაერთიანებაში განვერიანებული სახელმწიფოების ხალხებს“. ამჟამად, ევროპის დაახლოებით 375 მილიონი მოქალაქეა ჩართული 15 წევრი სახელმწიფოდან ევროპის ინტეგრაციის პროცესში 626 წარმომადგენლის მეშვეობით.

ევროპული პარლამენტი იქმნება პირდაპირი საყოველთაო არჩევნების საფუძველზე 5 წლის ვადით. რიგი ხელშეკრულებების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ ორგანოს უფლებამოსილება და გავლენა. ამ ხელშეკრულებებით, კერძოდ, მასტრიხტის 1992 წლის და ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებებით, მოხდა მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციების მქონე ევროპული პარლამენტის საკანონმდებლო ორგანოდ გარდაქმნა.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, პარლამენტის უფლება, აკონტროლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული ევროპული გაერთიანების ინსტიტუტები, შეზღუდულია, რასაც ევროპულ კავშირში „დემოკრატიის დეფიციტის“ არსებობას აბრალებენ.

ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 198-ე (ყოფილი 137-ე) მუხლის თანახმად, ევროპული პარლამენტის წევრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდასს. ევროპული პარლამენტის წევრები აირჩევიან თხუთმეტივე წევრი სახელმწიფოდან.

#### ევროპული პარლამენტის წევრები 2002 წელს

ქვეყანა	წევრთა რაოდენობა	მოსახლეობა
ავსტრია	21	8.09 მილიონი
ბელგია	25	10.09 მილიონი
დანია	16	5.18 მილიონი
ფინეთი	16	5.11 მილიონი
საფრანგეთი	87	58.33 მილიონი
გერმანია	99	82.23 მილიონი
საბერძნეთი	25	10.51 მილიონი
ირლანდია	15	3.49 მილიონი
იტალია	87	57.33 მილიონი
ლუქსემბურგი	6	0.40 მილიონი
ნიდერლანდები	31	15.44 მილიონი
პორტუგალია	25	9.79 მილიონი
ესპანეთი	64	38.73 მილიონი
შვედეთი	22	8.88 მილიონი
გაერთიანებული სამეფო	87	58.54 მილიონი

\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და GEPLAC-ის სტაჟიორი.



## სტუდენტური ფორუმი

პარლამენტის ადგილსამყოფელი სტრასბურგშია, სადაც წევრები ყოველთვიურად, ერთი კვირის განმავლობაში ესწრებიან პლენარულ სხდომას მაშინ, როდესაც პარლამენტი ატარებს სხდომებს სრული შემადგენლობით. ბრიუსელში ტარდება დამატებითი ორდღიანი სხდომები. პარლამენტის სამდივნო მდებარეობს ლუქსემბურგში. ევროპული პარლამენტი გაერთიანების ერთადერთი ორგანოა, რომელიც საჯაროდ მართავს დებატებს. პარლამენტის გადაწყვეტილებები, პოზიციები და ოქმები ქვეყნდება ევროპული გაერთიანების ოფიციალურ ჟურნალში. თარჯიმნების დახმარებით, პარლამენტი მუშაობს ევროპული კავშირის თერთმეტივე ოფიციალურ ენაზე.

ევროპულ პარლამენტს აქვს სამი ძირითადი ფუნქცია: საკანონმდებლო, საბიუჯეტო და საზედამხებველო.

ახალმა საკანონმდებლო პროცედურებმა, კერძოდ, თანამშრომლობის პროცედურამ, რომელიც შემოღებულ იქნა 1987 წლის ერთიანი ევროპული აქტით და ამჟამად გათვალისწინებულია ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 252-ე მუხლით, ასევე, ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურამ, რომელიც შემოღებულ იქნა 1993 წლის ევროპული კავშირის შესახებ მას-ტრიხტის ხელშეკრულებით, განივრცო და უფრო ეფექტიანი გახდა ამსტერდამის ხელშეკრულებით და ამჟამად, გათვალისწინებულია ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 251-ე მუხლით, საგრძობლად გაზარდა პარლამენტის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. პარლამენტს უფლება მიეცა, განეხილა წინადადებები გაერთიანების კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე სამი „ნაკითხვით“, მტკიცედ დაეცვა თავისი წინადადებები ან დაელო ვეტო მათ მიღებაზე. ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას, ევროპული პარლამენტი და საბჭო თანაბარ პოზიციებზე დგანან. ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას მომრიგებელი კომიტეტი. იგი შედგება საბჭოს წევრებისა და პარლამენტის წარმომადგენლებისაგან. ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურის დროს პარლამენტსა და საბჭოს შორის ნებისმიერი აზრთა სხვადასხვაობის შესახებ ეცნობება მომრიგებელ კომიტეტს, რომელიც ეცდება შეათანხმოს ორივე მხარისათვის მისაღები ტექსტი. ნებისმიერი ერთობლივი ტექსტის პროექტი მიღებული უნდა იქნეს ექვსი კვირის განმავლობაში კვალიფიცირებული უმრავლესობით საბჭოში და აბსოლუტური უმრავლესობით პარლამენტში. შემოთავაზება არ მიიღება, თუ ერთ-ერთი ინსტიტუტი უარყოფს მას, ევროპულ პარლამენტს უფლება აქვს თანხმობა მისცეს გარკვეული საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე, ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების თაობაზე, ევროპული პარლამენტის არჩევნების ერთიანი პროცედურის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და ა.შ. თანხმობის მიცემის პროცედურა შემოღებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტით.

საკანონმდებლო პროცესში პარლამენტის გაზრდილ როლზე მიუთითებს ის, რომ სამართლებრივი დოკუმენტის (რეგლამენტი ან დირექტივა) სათაურში იგი მოხსენიებულია, როგორც საბჭოს „თანაკანონმდებელი“, როდესაც სამართლებრივი აქტი ეფუძნება თანაგადაწყვეტილების პროცედურას.

### ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურა

ერთობლივი გადაწყვეტილებების პროცედურა მოიცავს ერთ, ორ, ან სამ ნაკითხვას. ამ პროცედურამ მნიშვნელოვნად გაზარდა კავშირი ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას შორის.

- კომისია წარადგენს საკანონმდებლო აქტის ტექსტს;
- ევროპული პარლამენტი ამტკიცებს თავის პოზიციას თავისი შესაბამისი მუდმივი კომიტეტის მოხსენების საფუძველზე; ჩვეულებრივ, მას შესწორებები შეაქვს კომისიის შემოთავაზებულ ტექსტში. ეს არის პირველი ნაკითხვა;

## სტუდენტური ფორუმი

- მინისტრთა საბჭო ან ინონებს პარლამენტის მიერ შეტანილ შესწორებებს, რა შემთხვევაშიც საკანონმდებლო შემოთავაზება მიღებულია, ან ცვლის მათ საერთო პოზიციის მიღებით;

- შესაბამისი მუდმივი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, ევროპული პარლამენტი გამოხატავს თავის აზრს მეორე ნაკითხვაზე: პარლამენტი თავისი წევრების აბსოლუტური უმრავლესობით (314 ხმა) იღებს ან უარყოფს საბჭოს მოსაზრებას ან შესწორებები შეაქვს მასში;

- კომისია ითვალისწინებს პარლამენტის შესწორებებს და შესწორებულ შემოთავაზებას უგზავნის საბჭოს. საბჭოს კვალიფიცირებული უმრავლესობით შეუძლია დაამტკიცოს კომისიის მიერ მიღებული, პარლამენტის მიერ შემოთავაზებული შესწორებები ან შეცვალოს ისინი, რისთვისაც საჭიროა ერთსულოვანი გადაწყვეტილება;

- პარლამენტსა და საბჭოს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, იწყება საბჭოს წევრებისა და პარლამენტის წარმომადგენლებისაგან შემდგარი მომრიგებელი კომიტეტის შეხვედრები. ეს შეხვედრები გრძელდება ყველაზე მეტი 6 კვირა. ევროპული პარლამენტის 15 წევრიანი დელეგაციის თავმჯდომარეა პარლამენტის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი. დელეგაციაში ყოველთვის შედის პარლამენტის მომხსენებელი;

- უმრავლეს შემთხვევაში, ორი მხარე აღწევს შეთანხმებას ერთობლივი ტექსტის სახით;

- პარლამენტს ეძლევა ამ შეთანხმების დამტკიცების შესაძლებლობა მესამე ნაკითხვაზე. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ, შემოთავაზება გაერთიანების „სამართლის“ თაობაზე არ მიიღება (ე.ი. იგი „ჩაფარდება“).

საბიუჯეტო ფუნქცია ისევე, როგორც საკანონმდებლო ფუნქცია, განაწილებულია ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შორის. ამ სფეროში მოსამზადებელ სამუშაოებს პარლამენტის მხრიდან ახორციელებს საბიუჯეტო კომიტეტი სხვა მუდმივ კომიტეტებთან თანამშრომლობით.

ევროპული პარლამენტი მომავალი წლის ბიუჯეტს ადგენს დეკემბერში. ბიუჯეტი არ მიიღება მანამ, სანამ პარლამენტის პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს მას. 1986 წლიდან წლიური ხარჯები შედის მრავალწლიან გეგმაში – „საფინანსო პერსპექტივები“, რომელიც მიიღება ერთობლივად პარლამენტისა და საბჭოს მიერ.

პარლამენტს საბოლოო სიტყვა ეკუთვნის წლიური ბიუჯეტის ისეთ ძირითად ხარჯებთან დაკავშირებით, როგორცაა ხარჯების გაღება ნაკლებად წარმატებული ქვეყნებისათვის, უმუშევრობის შემცირების მიზნით ტრეზინინგის ჩატარებისათვის და ა.შ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, პარლამენტს შეუძლია შესწორებების შეთავაზება, მაგრამ საბოლოო სიტყვა საბჭოს ეკუთვნის. პარლამენტი და საბჭო განიხილავს კომისიის საბიუჯეტო შემოთავაზებებს 2 ნაკითხვაზე (მაისსა და დეკემბერს შორის), რომელთა განმავლობაშიც ისინი თანხმდებიან იმაზე, თუ რა რაოდენობით თანხა უნდა დაიხარჯოს და რაზე. პარლამენტს ასევე შეუძლია უარყოს ბიუჯეტი, თუ იგი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტი არ შეესაბამება კავშირის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, საბიუჯეტო პროცესი თავიდან იწყება. პარლამენტმა ორჯერ უარყო ბიუჯეტი, მაგრამ მას ეს იარაღი აღარ გამოუყენებია მას შემდეგ, რაც მან დაიწყო მრავალწლიანი გეგმების შედგენა საბჭოსთან ერთად.

პარლამენტი ახორციელებს გაერთიანების საქმიანობის დემოკრატიულ ზედამხედველობას. ეს უფლებამოსილება, რომელიც თავიდან მხოლოდ კომისიის საქმიანობაზე ვრცელდებოდა, ამჟამად მინისტრთა საბჭოზე და საგარეო და თავდაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოებზეც ვრცელდება. ზედამხედველობის ხელშესაწყობად, ევროპულ პარლამენტს შეუძლია შექმნას დროებითი საგამომძიებლო კომიტეტები. ევროპულმა პარლამენტმა აღნიშნული რამდენჯერმე უკვე განახორციელა, მაგალითად, ჯილხის შემთხვევაში, როდესაც პარლამენტის გამოძიების

## სტუდენტური ფორუმი

---

შედეგად ირლანდიაში დაარსდა ევროპული ვეტერინარული სააგენტო. პარლამენტმა, აგრეთვე, უზრუნველყო ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლი ევროპული სამსახურის შექმნა.

ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 194-ე (ყოფილი 138 (დ)) მუხლის თანახმად, „კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს, ან ნებისმიერ ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირს, რომელიც ცხოვრობს, ან რომლის წარმომადგენლობაც რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოში“, უფლება აქვს პარლამენტს მიმართოს პეტიციით, ხოლო მასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებას დაამატა 195-ე (ყოფილი 138 (ე)) მუხლი, რომლის თანახმადაც პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს ომბუდსმენი, რომელსაც „კავშირის ნებისმიერმა მოქალაქემ, ან ნებისმიერმა ფიზიკურმა, თუ იურიდიულმა პირმა, რომელიც ცხოვრობს, ან რომლის წარმომადგენლობაც რეგისტრირებულია წევრ სახელმწიფოში, შეიძლება მიმართოს საჩივრით გაერთიანების დაწესებულებების ან ორგანოების „ცუდი ადმინისტრირების“ თაობაზე, ევროპული სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გარდა“. ომბუდსმენმა უნდა შეატყობინოს დაწესებულებას ან ორგანოს ამის თაობაზე და მოახსენოს პარლამენტს, შესაბამის დაწესებულებას და მომჩივანს გამოძიების შედეგების თაობაზე.